ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-87. 87232499**
თარიღი:**06/09/2023**

განკარგულება №28

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2004 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.09.35.390) აღნაგობის ფორმით, პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის, ქირის საწყისი საფასურისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 53-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს - განახორციელოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **სოფელ ფიჩხოვანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2004 კვ.მ მიწის ნაკვეთის** (**ს/კ - 50.09.35.390**) **სარგებლობაში გადაცემა აღნაგობის ფორმით, პირობიანი აუქციონის წესით.**

2. დამტკიცდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის განკარგვის პირობები:

   ა) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5% - 195,00 (ას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 20 წელი;

გ) სარგებლობის უფლებით გაცემის პირობა: ხელშეკრულების დადებიდან მომდევნო 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელდეს ინვესტიცია არანაკლებ 200000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

დავით ავაზაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM